ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3624476

ნომერი: AR1547114

თარიღი : 06.10.2017

გაცემის თარიღი : 20.10.2017

გაცნობის თარიღი : 20.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მხატვრის ქუჩა N23 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვალერიანე იობიძე პ/ნ 60001077497
- ქუთაისი მ.ასლანიკაშვილის ქ. N 57

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის 2002 წლის 21 ივნისის №-14 სამშენებლო პასპორტში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 6 ოქტომბერს AR1547114 განცხადებით მომართა შპს „მაიამედის“ მინდობილმა პირმა თამარ თოლორაიამ და ვალერიანე იობიძემ, რომლებმაც მოითხოვეს ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის 2002 წლის 21 ივნისის №-14 სამშენებლო პასპორტში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ფერდობი მე-2 მ/რ, ნაკვეთი N14/5 (საკადასტრო კოდი 1/14/2/14/5 ფართობი 593 კვ.მ) ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად, ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების ზონაში (სზ-1) (კ1-0.4, კ2-0.6, გამწვანება 10%) ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის მიერ 2002 წლის

21 ივნისს დამტკიცდა სამშენებლო პასპორტი №-14.
ამჟამად, განმცხადებლები ითხოვენ 2002 წლის 21 ივნისს დამტკიცებულ №-14 სამშენებლო პასპორტის დასაპროექტებელი ობიექტის გრაფაში ღია ავტოსადგომის დამატებას, რაც ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის 2002 წლის 21 ივნისის №-14 სამშენებლო პასპორტში და დასაპროექტებელი ობიექტის გრაფაში დაემატოს ღია ავტოსადგომი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის 2002 წლის 21 ივნისის №-14 სამშენებლო პასპორტთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.